აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით წყლის რესურსების სფეროში აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი ბათუმის, ქობულეთის, ზუგდიდის და ფოთის მუნიციპალიტეტებზე ყურადღების გამახვილებით

ფონდი „ადგილის დედა“
ავტორი: გიორგი ძამუკაშვილი

რეზიუმე

2020 წელს ფონდის „კავკასიის ეკოლოგია“ კოორდინაციით განხორციელდა პროექტი **„ასოცირების შეთანხმებით აღებული ჩარჩო დირექტივების** (WFD, MSFD, ბიომრავალფეროვნება), **ენერგეტიკული რესურსების გამოყენებისა და კლიმატის ცვლილების შერბილების ვალდებულებათა შესრულების მონიტორინგი დასავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტებში** (ბათუმი, ქობულეთი, ფოთი, ზუგდიდი) **COVID-19 პანდემიის პირობებში.**

სათემო ფონდმა „ადგილის დედამ“, როგორც თანააპლიკანტმა ორგანიზაციამ, მონაწილეობა მიიღო აღნიშნულ პროექტში. მისი ფუნქცია იყო წყლის კანონისა და წყლის ჩარჩო დირექტივის (WFD) მიმართულებით არსებული მასალების შეგროვება/ანალიზი. პროექტის მიხედვით, ამ პროცესში, მისი პარტნიორები იყვნენ ბათუმის, ქობულეთის ფოთისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების მერიები.

აღსანიშნავია ის კარგი თანამშრომლობა, რომელიც შედგა ქობულეთისა და ფოთის მუნიციპალიტეტების მერიებთან. ხოლო ბათუმისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებიდან არ იქნა მიღებული მოთხოვნილი ინფორმაცია, რის გამოც საჭირო გახდა წყლის რესურსებთან დაკავშირებული მასალის მოძიება სხვა წყაროებიდან.

მოძიებული მასალის საფუძველზე ჩატარდა ასოცირების შეთანხმების შესახებ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი, გაკეთდა ანალიზი, დასკვნები და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები.

Resume

Under to coordination of Foundation Caucasus Environment in 2020 has been realized the project **"Monitoring of the Implementation of Obligations of Framework Directives** (WFD, MSFD, Biodiversity),**Use of Energy Resources and Climate Change Mitigation taken under the Association Agreement in the Municipalities of Western Georgia** (Batumi, Kobuleti, Poti and Zugdidi) **in COVID-19 Conditions"**

Community Foundation "Genius Loci", as a co-applicant organization took a participation in a project, which one's function was collecting/analyzing subjects towards Water law and Water Frame Directives. In this process the City Halls of the municipalities - Batumi, Kobuleti,Potiand Zugdidi were its Partners.

Good collaboration must be noticed which occurred with the City halls of Kobuleti and Poti municipalities. There was not got the requested information from the municipalities of Batumi and Zugdidi and because of that became necessary seeking the subjects linked to the water resources from other sources.

Based on the sought subjects there was held taken commitments monitoring under the Association Agreement, were made the analysis, conclusion and worked out relevant recommendations were developed.

შესავალი

ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, საქართველო და ევროკავშირი უამრავ გარემოსდაცვით საკითხზე თანამშრომლობენ. დოკუმენტის მე-6 თავის, 302-ე მუხლი განმარტავს, რომ ამ თანამშრომლობის ერთერთი სფერო იქნება **„წყლის ხარისხი და წყლის რესურსების მართვა, მათ შორის წყალდიდობის რისკ ის მართვა, წყლის რესურსების სიმწირე და გვალვები, ასევე საზღვაო გარემო"**. გარდა ამისა, მუხლი 306-ში აღნიშნულია,, რომ **„საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას წინამდებარე შეთანხმების XXVI დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად"**.

2014 წლიდან საქართველოს მთავრობამ გააქტიურა საქმიანობა საქართველოს წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონმდებლობის შეცვლის მიმართულებით, რათა შეასრულოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები. ეს ცვლილებები გულისხმობს ევროკავშირის წყლის დირექტივებთან დაახლოებას.

ამჟამად ქვეყანაში მოქმედებს საქართველოს კანონი წყლის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს წყლის რესურსების მართვის პოლიტიკის უმთავრეს მიზნებსა და პრინციპებს. ეს კანონი მიღებულია 1997 წელს (ქრონოლოგიურად წინ უსწრებს წყლის ჩარჩო დირექტივის მიღებას - WFD) და, ბუნებრივია, მასში არ არის გათვალისწინებული ის პრინცეპები, რომლებიც საფუძვლად უდევს წყლის ევროპულ კანონმდებლობას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ კანონში, წლების

განმავლობაში, არაერთი ცვლილება შევიდა, იგი ვერ პასუხობს წყლის რესურსების მართვის თანამედროვე სტანდარტებს და, შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფს წყლის რესურსების მდგრად მართვას.

ასოცირების შესახებ შეთანხმება განსაზღვრავს „წყლის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი მოქმედებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000 წლის 23 ოქტომბრის 2000/60/ დირექტივასთან (2455/2001/ გადაწყვეტილებით შეტანილი შესწორებების შესაბამისად) საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების ვალდებულებას. აღნიშნული დირექტივით გათვალისწინებული საკითხები საჭიროებს კანონით მოწესრიგებას და შესაბამისი საკანონმდებლო სამართლებრივი საფუძვლების შექმნას. ამასთან, კანონით დადგინდება წყლის რესურსების მართვის ახალი პრინციპები, სისტემა და სტანდარტები, რის საფუძველზეც, შემდგომ, მოხდება შესაბამისი კანონქვემდებარე სამართლებრივი ბაზის შექმნა.

2020 წელს ფონდის „კავკასიის ეკოლოგია“ კოორდინაციით განხორციელდა პროექტი „**ასოცირების შეთანხმებით აღებული ჩარჩო დირექტივების** (WFD, MSFD, ბიომრავალფეროვნება), **ენერგეტიკული რესურსების გამოყენებისა და კლიმატის ცვლილების შერბილების ვალდებულებათა შესრულების მონიტორინგი დასავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტებში** (ბათუმი, ქობულეთი, ფოთი, ზუგდიდი) **COVID-19 პანდემიის პირობებში.**

სათემო ფონდი „ადგილის დედა“, მონაწილეობდა პროექტში, როგორც თანააპლიკანტი ორგანიზაცია. მისი ფუნქცია იყო წყლის კანონისა და წყლის ჩარჩო დირექტივის (WFD) მიმართულებით არსებული მასალების შეგროვება და მოძიებული მასალის საფუძველზე ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი. ასევე, მონიტორინგის შედეგების ანალიზი, დასკვნები და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

პროექტის მიხედვით, აღნიშნული საქმიანობის პროცესში, თანაპლიკანტი ორგანიზაციების გარდა, პარტნიორები იყვნენ ბათუმის, ქობულეთის, ფოთისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების მერიები.

პროექტით განსაზღვრული კვლევის არეალის მოკლე დახასიათება

წყლის ახალი კანონპროექტი განსაზღვრავს 6 სააუზო ტერიტორიულ ერთეულს.

პროექტით განსაზღვრული სამიზნე მუნიციპალიტეტები მდებარეობენ:

- **ფოთის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტები** - ენგური-რიონის სააუზო უბანი
- **ბათუმის და ქობულეთის მუნიციპალიტეტები** - ჭოროხი-აჭარისწყლის სააუზო უბანი

ენგური-რიონის სააუზო უბნის ფართობია 22,416 კმ². საზღვრები მოიცავს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მარტვილის, ზუგდიდის, ხობის, სენაკისა და აბაშის მუნიციპალიტეტებასა და ქ. ფოთს; რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ონის, ამბროლაურის, ლენტეხის და ცაგერის მუნიციპალიტეტებსა და ქ. ქუთაისს; გურიის რეგიონის ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებს.

ენგური-რიონის სააუზო უბნის ძირითადი მდინარეებია: ენგური, მულხრა, მაგანა, ნენსკრა, თხეიში, ჯუმი, რიონი, ყვირილა, ძირულა, ჩხერიმელა, ხანისწყალი, წაბლარისწყალი, გუბისწყალი, ცხენისწყალი, ჯონოულა, ნოღელა, ტეხური, ცივი, ხობი, ჭანისწყალი, ფიჩორი, სუფსა, გუბაზეული, ნატანები, ჩოლოქი და ბჟუჟი. აუზის საშუალო და დიდი მდინარეების საერთო სიგრძეა 1481 კილომეტრი (საქართველოს ტერიტორიაზე). ამ სააუზო უბნის მთავარი ტბებისა და წყალსაცავების (ენგურის წყალსაცავი და პალიასტომის ტბა) ზედაპირის ფართობია 56.4 მ².

ჭოროხი-აჭარისწყლის სააუზო უბნის ფართობია 2,483 კმ². საზღვრები მოიცავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელვაჩაურის ქობულეთის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტესა და ქ. ბათუმს.

ჭოროხი-აჭარისწყლის სააუზო უბნის ძირითადი მდინარეებია: ჭოროხი, აჭარისწყალი, სხალთა, ჩირუხისწყალი, მაჭახელა, ყოროლისწყალი, კინტრიში, ჩაქვისწყალი და აჭყვა. ჭოროხი-აჭარის წყლის სააუზო უბნის საშუალო და დიდი მდინარეების საერთო სიგრძე არის 116 კმ. (საქართველოს ტერიტორიაზე).

ევროკავშირის წყლის დირექტივების შესრულების მონიტორინგის შედეგების მიმოხილვა

წყლის რესურსების სექტორში უნდა მოხდეს 6 დირექტივის ზოგიერთ დებულებასთან დაახლოება. თითოეულ დებულების შესრულებაზე განსაზღვრულია ვადები.

ქვემოთ მოყვანილია დირექტივების შესრულების მონიტორინგის ცხრილები, გარდა **დირექტივის N 2008/56/EC ღონისძიებათა ჩარჩოს შემუშავების შესახებ საზღვაო გარემოს დაცვის პოლიტიკის სფეროში**, რომლის მონიტორინგსაც დავალება არ ითვალისწინებდა.

დირექტივა N 2000/60/EC „წყლის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი მოქმედებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ“N 2455/2001/EC გადაწყვეტილებით შეტანილი შესწორებების შესაბამისად

შესრულების	შესრულება	

ვალდებულება/ დებულება	ეროვნული დონე	ბათუმი	ქობულეთი	ზუგდიდი	ფოთი	შენიშვნა
ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანოების დადგენა მუხლი 3	კანონპროექტი წყლის რესურსების მართვის შესახებ მუხლი 6	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ეს დებულებები უნდა შესრულდეს შეთანხმების ძალაში შესვლიდან 4წლის განმავლობაში
მდინარის აუზის უბნების განსაზღვრა და ადმინისტრაციული მექანიზმების დაწესება საერთაშორისო მდინარეების, ტბებისა და სანაპირო წყლებისათვის მუხლი 3	კანონპროექტი წყლის რესურსების მართვის შესახებ მუხლი 24.1, 24.2	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ეს დებულებები უნდა შესრულდეს შეთანხმების ძალაში შესვლიდან 4 წლის განმავლობაში
მდინარის აუზის უბნების მახასიათებლების ანალიზი მუხლი 5	კანონპროექტი წყლის რესურსების მართვის შესახებ მუხლი 29.3	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ეს დებულებები უნდა შესრულდეს შეთანხმების ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში
წყლის ხარისხის მონიტორინგის პროგრამების ჩამოყალიბება მუხლი 8	კანონპროექტი წყლის რესურსების მართვის შესახებ მუხლი 39.1	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ეს დებულებები უნდა შესრულდეს შეთანხმების ძალაში შესვლიდან 6-8 წლის განმავლობაში
მდინარის აუზის მართვის გეგმების მომზადება, საზოგადოებასთან კონსულტაციები და ამ გეგმების გამოქვეყნება მუხლი13, მუხლი14	კანონპროექტი წყლის რესურსების მართვის შესახებ მუხლი 25, მუხლი 29 მუხლი 30	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ეს დებულებები უნდა შესრულდეს შეთანხმების ძალაში შესვლიდან 6-8 წლის განმავლობაში

ამონარიდი წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონპროექტიდან:

6.1. წყლის რესურსების დაცვისა და წყლის რესურსებით სარგებლობის სფეროში კომპეტენტურ ორგანოებს წარმოადგენენ:

ა) წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების სამთავრობო კომისია;

ბ) სამინისტრო;

გ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

დ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;

ე) საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

ვ) საქართველოსენერგეტიკისადაწყალმომარაგებისმარეგულირებელიეროვნული კომისია;

ზ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

თ) მუნიციპალიტეტები.

24.1 მდინარეთა აუზები/სააუზო უბნები განისაზღვრება "მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების საზღვრების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

24.2 მდინართა აუზის/სააუზო უბნის განსაზღვრა ხორციელდება შემდეგი წესების დაცვით:

ა) ნებისმიერი ზედაპირული წყლის ობიექტი, მიწისქვეშა და სანაპირო წყლები, უნდა მიეკუთვნებოდეს მდინარეთა კონკრეტულ აუზს ან სააუზო უბანს;

ბ) შესაძლებელია მდინარეთა აუზების სხვა მდინარეთა აუზებთან ერთად ერთ სააუზო უბნად განსაზღვრა;

გ) მდინარის აუზის ფარგლებში გავრცელებული მიწისქვეშა წყალი მიეკუთვნება აღნიშნულ აუზს;

დ) თუ მიწისქვეშა წყლების მდებარეობა ზუსტად არ ემთხვევა მდინარის აუზის მდებარეობას, უნდა მოხდეს მათი იდენტიფიცირება და ასოცირება ყველაზე ახლომდებარე ან ყველაზე შესაფერის აუზთან;

ე) სანაპირო წყლების მიკუთვნება ხდება მათთან ყველაზე ახლომდებარე ან ყველაზე შესაფერის აუზთან.

25.2. მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

25.3. მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების მართვის გეგმების შემუშავებას უზრუნველყოფს სამინისტრო.

25.4. მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების მართვის გეგმებს, დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმების შემდეგ, სამინისტრო დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს მთავრობას.

25.5. აუზების/სააუზო უბნების მართვის გეგმების განახლება ხდება 6 წელიწადში ერთხელ.

25.6. მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების მართვის თითოეული გეგმა, საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენამდე, განხილული უნდა იქნეს ტერიტორიული პრინციპით შექმნილი სააუზო მართვის შესაბამისი საკონსულტაციო–საკოორდინაციო საბჭოს მიერ.

25.7. სააუზო მართვის საკონსულტაციო–საკოორდინაციო საბჭოები წარმოადგენენ სამინისტროსთან არსებულ სათათბირო ორგანოებს, რომელთა მიზანია შესაბამისი სააუზო უბნის ტერიტორიაზე არსებული წყლის რესურსების დაცვისა და მდგრადი გამოყენების მიზნით სახელმწიფო და არასახელმწიფო სუბიექტების თანამშრომლობის უზრუნველყოფა. სააუზო მართვის საკონსულტაციო–საკოორდინაციო საბჭოების შემადგენლობას და საქმიანობის წესს ამტკიცებს მინისტრი.

25.8. სააუზო მართვის საკონსულტაციო–საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ სამინისტროსა და სხვა სახელმწიფო უწყებების (მათი ადგილობრივი

ტერიტორიული ორგანოების ჩათვლით) თანამშრომლები, სააუზო უბნის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტების დარგობრივი ორგანოების წარმომადგენლები, აგრეთვე შესაბამისი სააუზო უბნის ტერიტორიაზე ისეთი საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ წყლის რესურსების მდგომარეობაზე, მსხვილი წყალმომხმარებლები, წყალმომხმარებელთა ასოციაციები და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენლები. 29. 3. მდინარის აუზის მართვის გეგმა უნდა შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს: ა) მდინარის აუზის/სააუზო უბნის ინტეგრირებული მართვის სააუზო ტერიტორიული ერთეულის ზოგადი დახასიათება. *ამჟამად მიმდინარეობს სამი სააუზო გეგმის შემუშავება (EUWI+ პროექტის ფარგლებში) დასრულების სავარაუდო თარიღი 2020, ამ სამისთვის მახასიათებლების ანალიზი უკვე მომზადებულია და დამტკიცდება მთლიან გეგემასთნ ერთად.* 29.1. სამინისტრო ორგანიზებას უწევს მდინარეთა სააუზო მართვის გეგმების შემუშავებას, აღნიშნული გეგმების პროექტების განხილვას და საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენას. 29.2. სააუზო მართვის გეგმას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. 30.1 1. სამინისტრო უზრუნველყოფს მდინარის აუზის/სააუზო უბანთან დაკავშირებით ამ პუნქტით განსაზღვრული შემდეგი ინფორმაციის გამოქვეყნებას და მოსაზრებების მიღების მიზნით მისი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობას. **39 ზ.ბ) საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს შემდეგი სამართლებრივი აქტების მიღება: 2020 წლის 31 დეკემბრამდე:** „წყლის რესურსების მონიტორინგის დაგეგმვისა და განხორციელების წესი"

დირექტივა N 91/271/EEC ურბანული ჩამდინარე წყლის გაწმენდის შესახებ

შესრულების ვალდებულება/ დებულება	შესრულება					შენიშვნა
	ეროვნული დონე	ბათუმი	ქობულეთი	ზუგდიდი	ფოთი	
ურბანული ჩამდინარე წყლის შეგროვების და გაწმენდის მდგომარეობის შეფასება მუხლი 5	კანონპროექტი წყლის რესურსების მართვის შესახებ მუხლი 32	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ეს დებულებები უნდა შესრულდეს შეთანხმების ძალაში შესვლიდან 6-6 წლის განმავლობაში
სენსიტიური არეალებისა და აგლომერაციების იდენტიფიცირება მუხლი 5	კანონპროექტი წყლის რესურსების მართვის შესახებ მუხლი 32	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ეს დებულებები უნდა შესრულდეს შეთანხმების ძალაში შესვლიდან 7 წლის განმავლობაში

ტექნიკური და საინვესტიციო პროგრამების მომზადება ურბანული ჩამდინარე წყლის შეგროვებისა და გაწმენდისათვის მუხლი 5	კანონპროექტი წყლის რესურსების მართვის შესახებ მუხლი 32	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ეს დებულებები უნდა შესრულდეს შეთანხმების ძალაში შესვლიდან 8 წლის განმავლობაში

ამონარიდი წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონპროექტიდან:

მუხლი 32.1. ურბანული ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვების ნორმები და ურბანული ჩამდინარე წყლებით ზემოქმედების რისკის ქვეშ მყოფი სენსიტიური არეალების განსაზღვრის კრიტერიუმები განისაზღვრება ტექნიკურირეგლამენტით „ზედაპირულიწყლისობიექტებში ურბანული და სამრეწველო ჩამდინარეწყლების ჩაშვების პირობები“.

32.2. ურბანული ჩამდინარე წყლების წყალარინების სისტემებში და გამწმენდ ნაგებობებში შემავალი საწარმოო ჩამდინარე წყლების ხარისხი, სულ მცირე, უნდა აკმაყოფილებდეს ისეთ პირობებს და იყოს ისეთ მდგომარეობაში, რომელიც:

ა) საფრთხეს არ უქმნის აღნიშნული სისტემებისა და გამწმენდი ნაგებობების მომსახურე პერსონალის ჯანმრთელობას;

ბ) არ იწვევს აღნიშნული სისტემების, გამწმენდი ნაგებობების და შესაბამისი აღჭურვილობის დაზიანებას;

გ) უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების შეუფერხებელ მუშაობას, გაწმენდის ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვას და ნალექის გაუვნებელყოფას;

დ) უზრუნველყოფს ურბანული ჩამდინარე წყლების ჩაშვების პირობების დაცვას და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებას.

32.3. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობები არ არის დაცული, აუცილებელია საწარმოო ჩამდინარე წყლების შესაბამისი წინასწარი გაწმენდა.

32.4. ურბანული ჩამდინარე წყლების წყალარინების სისტემებში ჩაშვების ტექნიკური პირობები განისაზღვრება ტექნიკური რეგლამენტით „წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში ჩამდინარე წყლის ჩაშვებისა და მიღების პირობებისა და დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ნორმები“, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

დირექტივა N 98/83/EC ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი წყლის ხარისხის შესახებ

შესრულების ვალდებულება/ დებულება	შესრულება					შენიშვნა
	ეროვნული დონეზე	ბათუმი	ქობულეთი	ზუგდიდი	ფოთი	
სასმელი წყლის სტანდარტების დაწესება მუხლი 5	კანონპროექტი წყლის რესურსების მართვის	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	მომზადებულია სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტი,

	შესახებ მუხლი 14.4					რომლის განხილვა ამჟამად მიმდინარეობს სამინისტროებს შორის.
მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება muxli 7.	კანონპროექტი წყლის რესურსების მართვის შესახებ მუხლი 14.4	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ეს დებულებები უნდა შესრულდეს შეთანხმების ძალაში შესვლიდან 7 წლის განმავლობაში
მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდების მექანიზმების შემუშავება 13	კანონპროექტი წყლის რესურსების მართვის შესახებ მუხლი 14.3	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ეს დებულებები უნდა შესრულდეს შეთანხმების ძალაში შესვლიდან 7 წლის განმავლობაში

ამონარიდი წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონპროექტიდან:

14.4. ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი წყლის ხარისხი განისაზღვრება ტექნიკური რეგლამენტით.

14.3 მომხმარებელთა ინფორმირების მიზნით სამინისტრო მომხმარებლებისთვის შეიმუშავებს ინფორმაციის მიწოდების მექანიზმს და 3 (სამი) წელიწადში ერთხელ აქვეყნებს ანგარიშს ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი წყლის მდგომარეობის თაობაზე. ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი წყლის მდგომარეობის ანგარიშის შინაარსი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

დირექტივა N 91/676/EC სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ნიტრატებით დაბინძურებისაგან წყლების დაცვის შესახებ

შესრულების ვალდებულება/ დებულება	შესრულება					შენიშვნა
	ეროვნული დონე	ბათუმი	ქობულეთი	ზუგდიდი	ფოთი	
მონიტორინგის პროგრამების ჩამოყალიბება	კანონპროექტი წყლის რესურსების მართვის შესახებ მუხლი 39.3	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ეს დებულებები უნდა შესრულდეს შეთანხმების ძალაში შესვლიდან 5-8 წლის განმავლობაში
დაბინძურებული	კანონპროექ	ვალდებუ	ვალდებუ	ვალდებუ	ვალდე	ეს დებულებები

წყლების ან რისკის ქვეშ მყოფი წყლების იდენტიფიცირება და ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონების განსაზღვრა	ტი წყლის რესურსების მართვის შესახებ მუხლი 39.3	ლება არ აქვს	ლება არ აქვს	ლება არ აქვს	ბულებ ა არ აქვს	უნდა შესრულდეს შეთანხმების ძალაში შესვლიდან 5-8 წლის განმავლობაში
სამოქმედო გეგმების შემუშავება და ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონებისათვის კარგი სასოფლო სამეურნეო პრაქტიკის წესების განსაზღვრა	კანონპროექ ტი წყლის რესურსების მართვის შესახებ მუხლი 39.3	ვალდებუ ლება არ აქვს	ვალდებუ ლება არ აქვს	ვალდებუ ლება არ აქვს	ვალდე ბულებ ა არ აქვს	ეს დებულებები უნდა შესრულდეს შეთანხმების ძალაში შესვლიდან 7 წლის განმავლობაში

ამონარიდი წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონპროექტიდან:

39.3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყოს:

ა) 2020 წლის 1 სექტემბრამდე - ზედაპირულ წყლებზე ნიტრატებით დაბინძურებული ან დაბინძურების რისკის ქვეშ მყოფი ზონების იდენტიფიცირება და ნიტრატებისადმი მოწყვლადი ზონების განსაზღვრა;
ბ) 2021 წლის 31 დეკემბრამდე - ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონებისთვის კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის წესების განსაზღვრა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავება.
გ) 2022 წლის 1 სექტემბრამდე:
გ.ა) მიწისქვეშა წყლებზე ნიტრატებით დაბინძურებული ან დაბინძურების რისკის ქვეშ მყოფი ზონების იდენტიფიცირება და ნიტრატებისადმი მოწყვლადი ზონების განსაზღვრა;

დირექტივა N 2007/60/EC წყალდიდობების რიკების შეფასებისა და მართვის შესახებ

შესრულების ვალდებულება/ დებულება	შესრულება					შენიშვნა
	ეროვნული დონე	ბათუმი	ქობულე თი	ზუგდიდი	ფოთი	
წყალდიდობების წინასწარი შეფასების გაკეთება მუხლი 4,5	კანონპროექტი წყლის რესურსების მართვის შესახებ მუხლი 36.1	ვალდებუ ლება არ აქვს	ვალდებუ ლება არ აქვს	ვალდებუ ლება არ აქვს	ვალდე ბულებ ა არ აქვს	ეს დებულებები უნდა შესრულდეს შეთანხმების ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში
წყალდიდობების საფრთხეების რუკებისა და	კანონპროექტი წყლის რესურსების	ვალდებუ ლება არ აქვს	ვალდებუ ლება არ აქვს	ვალდებუ ლება არ აქვს	ვალდე ბულებ ა არ	ეს დებულებები უნდა შესრულდეს

წყალდიდობების რისკების რუკების მომზადება მუხლი 6	მართვის შესახებ მუხლი 36.2				აქვს	შეთანხმების ძალაში შესვლიდან 7წლის განმავლობაში
წყალდიდობების რისკის მართვის გეგმების შემუშავება	კანონპროექტი წყლის რესურსების მართვის შესახებ მუხლი 36..3 - 5	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ვალდებულება არ აქვს	ეს დებულებები უნდა შესრულდეს შეთანხმების ძალაში შესვლიდან 9 წლის განმავლობაში

ამონარიდი წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონპროექტიდან:

მუხლი 36. 1. სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო, ყოველ 6 (ექვსი) წელიწადში ერთხელ, ახორციელებს წყალდიდობების რისკების წინასწარ შეფასებას ყველა მდინარის სააუზო უბნისთვის და განსაზღვრავს არეალებს, სადაც არსებობს წყალდიდობების პოტენციური მნიშვნელოვანი რისკი.

36.2. სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო ამზადებს წყალდიდობების საფრთხის და წყალდიდობების რისკის რუკებს ყველა არეალისთვის, რომელიც იდენტიფიცირებულია, როგორც წყალდიდობების პოტენციური მნიშვნელოვანი რისკის არეალი. ესრუკებიგანსაზღვრავსზონებსწყალდიდობისსაშუალოალბათობით (სულმცირე, ერთი მოვლენა 100 წელიწადში) დაზღვრულშემთხვევებს,ანმცირეალბათობისშემთხვევებს. იმზონებში, რომლებიცაღნიშნულიაროგორცრისკისზონები, აგრეთვეაღნიშნულიუნდაიყოსპოტენციურირისკისქვეშმყოფიმოსახლეობისრაოდენობადაეკონომიკურისაქმიანობისდაგარემოსდაზიანებისპოტენციურირისკი. წყალდიდობების რისკის რუკების განახლება უნდა მოხდეს ყოველ 6 წელიწადში ერთხელ.

წყლის რესურსებთან დაკავშირებული ღონისძიებები მუნიციპალიტეტებში

პროექტი ითვალისწინებდა ასოცირების შეთანხმებით აღებულ გარემოსდაცვით ვალდებულებებთან დაკავშირებული დოკუმენტაციებისა და ინფორმაციების შეგროვებას მუნიციპალიტეტებიდან და ამის საფუძველზე ანალიზისა და შესრულების მონიტორინგის ჩატარებას ასოცირების შეთანხმების ვალდებულებებთან მიმართებაში და COVID 19 პანდემიის პირობებში.

ამ მიზნით ოთხივე მუნიციპალიტეტს გაეგზავნა თხოვნა ინფორმაციის მოწოდებაზე და შეკითხვები (ქვემოთ მოყვანილია ამონარიდი წერილიდან):

„გიგზავნით წყლის დირექტივების ჩამონათვალს იმ დებულებების მითითებით, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ქვეყნისათვის. ეს ვალდებულებები, ძირითადად, ეროვნულ დონეზეა შესასრულებელი, თუმცა თუ რაიმე დამატებითი ინფორმაციის მოძიება არის

შესაძლებელი ლოკალურ დონეზე განხორციელებული/დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია. ეს უფრო შეეხება წყალმომარაგებას, წყალარინებას და წყალდიდობებს.

გარდა აღნიშნულისა, თქვენგან ველოდები პასუხს შეკითხვებზე:
1. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 2020 წლის მარტში (დამატებები ივლისში) შემუშავებულია ზოგიერთი დროებითი რეკომენდაცია:

- *წყალმომარაგების სისტემების დაცვის დამატებითი ღონისძიებები*
- *წყლის გაწმენდა მისი განაწილების, აღებისა და მოხმარების ადგილებში*
- *საყოფაცხოვრებო მოხმარების წყლის უსაფრთხო შენახვა რეგულარულად გაწმენდილ მოცულობებში*
- *ამ ღონისძიებების დაგეგმვა, რეალიზაცია და მონიტორინგი*
- *წყლის ხარისხის რეგულარულად შემოწმება და კონტროლის გამკაცრება*
- *გადაუხდელობის გამო სასმელი წყლის მიწოდების შეწყვეტის დაუშვებლობა*
- *მოსახლეობაში საინფორმაციო კამპანიების წარმოება*

შეკითხვა: ამ რეკომენდაციების მიხედვით რა აქტივობები განხორციელდა მუნიციპალიტეტებში?

2. რამდენი სოფელია მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში? რამდენშია ცენტრალიზებული წყალმომარაგება და წყალარინება? აქედან რამდენია გაკეთებული 2014 წლის შემდგომ პერიოდში?“

შენიშვნა: ნაშრომის ეს თავი შედგენილია ქობულეთისა და ფოთის მუნიციპალიტეტების მერიიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით (ბათუმიდან და ზუგდიდიდან მოთხოვნილი ინფორმაცია არ იქნა მოწოდებული); გამოყენებულია, ასევე სხვა წყაროებიდან მოძიებული ინფორმაცია.

ბათუმის მუნიციპალიტეტი

შპს „ბათუმისწყალმა“ ბათუმის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, 2019 წელს ბარცხანისა და თამარის დასახლებაში ახალი წყალარინების ქსელზე მოსახლეობის გადართვის სამუშაოები ჩაატარა.

დასრულდა მახინჯაურის წყლის სამარაგო რეზერვუარის მშენებლობა, რამაც მახინჯაურის, განთიადის და თამარის დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობისთვის შექმნა უწყვეტი 24 საათიანი წყალმომარაგება.

დასრულდა ხელვაჩაურის წყალმომარაგების ქსელი, ახალი აბონენტების დაერთება კანალიზაციის ახალ ქსელზე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტი

თვითმართველი თემი - ქობულეთის მუნიციპალიტეტი შედგება 21 ადმინისტრაციული ერთეულისაგან, სადაც წარმოდგენილია შემდეგი დასახლების ტიპები - 1 ქალაქი, 2 დაბა და 52 სოფელი. ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში ამჟამად ცენტრალიზებული კანალიზაციის სისტემა არ არსებობს, ცენტრალური კანალიზაციის სისტემა გვხვდება მხოლოდ ქალაქ ქობულეთში, სადაც ცენტრალიზებულად საკანალიზაციო სისტემა თავს იყრის თანამედროვე სტანდარტების გამწმენდ ნაგებობაში და, შესაბამისი ნორმებით, ხდება ფეკალური მასების გაწმენდა. რაც შეეხება წყალმომარაგებას, სოფლებში, ძირითადად, წარმოდგენილია ლოკალური წყლამომარაგების სისტემები, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, აერთიანებს ათეულობით, ასევე ასეულობით ოჯახს. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2014 წლის შემდგომ სოფლებში სასმელი წყლის სისტემის მოწესრიგების კუთხით არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორცილედა (ტექსტის ბოლოში წარმოდგენილია ინფრასტრუქტურული პროექტების ჩამონათვალი, რომელიც 2014 წლის შემდგომ პერიოდში განახორციელა მუნიციპალიტეტმა).

აღსანიშნავია, რომ აჭარის რეგიონში, მათ შორის ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაწყებულია პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს აჭარის დაბებსა და სოფლებში წყალმომარაგების, წყალარინების სისტემებისა და ჩაშვებული წყლის გაწმენდის გაუმჯობესებას. აღნიშნული პროექტი ხორციელდება გერმანიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის ბიუჯეტი (კონტრიბუციების ჩათვლით) შეადგენს 57 მილიონ ევროზე მეტს. მისი განმახორციელებელია სს აჭარის წყლის ალიანსი.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში მაღალია წყალმოვარდნების საფრთხე. აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს ქალაქ ქობულეთში შემომავალ მდინარე აჭყვას არხზე, რომელიც პერიოდულად, უხვი ნალექის დროს, გადმოდის კალაპოტიტან და ტბორავს ქალაქის მნიშვნელოვან ნაწილს. ეს პრობლემა დიდი ხანია აწუხებს მუნიციპალიტეტს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის და მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მომზადდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის ფარგლებშიც უნდა განხორციელდეს მდინარე აჭყვას კალაპოტის გაწმენდა და გამაგრების სამუშაოები.

განხორციელებული პროექტები

რეგიონი	ადგილმდებარეობა - სოფელი, უბანი, ქუჩის სახელწოდება	ბიუჯეტი	წლები
აჭარა ქობულეთი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის სასმელ-სამეურნეო წყლის სისტემის შიგა ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები	1 751 079	2014
აჭარა ქობულეთი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა და ქვედა სამების, ასევე ხუცუბნის დასახლების სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები	903 744	2014
აჭარა ქობულეთი	სოფელ ბუკნარის წყალდამცავი დამბის მოწყობის სამუშაოები	45 380	2014

აჭარა ქობულეთი	სოფ. ხუცუბნის წყლის სათავე ნაგებობის რეზერვუარის და ქსელის რეაბილიტაცია	1 033 863	2015
აჭარა ქობულეთი	სოფ. კვირიკეს წყალსადენის სათავე ნაგებობის, რეზერვუარების და ქსელის რეაბილიტაცია	164 253	2015
აჭარა ქობულეთი	დაბა ოჩხამურის წყლის სათავე ნაგებობის მოწყობის სამუშაოები	225 449	2015
აჭარა ქობულეთი	სოფელ ბუკნარის წყალსადენის სათავე ნაგებობაზე ლითონის წყალშემკრების მოწყობა	3 096	2015
აჭარა ქობულეთი	ქალაქ ქობულეთის წყლის გაუსნებელყოფა (ნატრიუმის ჰიპოქლორიდის წარმოების დანადგარის მიწოდება-მონტაჟი)	188 800	2015
აჭარა ქობულეთი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის სასმელ-სამეურნეო წყლის სისტემის შიგა ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები	292 975	2015
აჭარა ქობულეთი	სოფ.სამების წყლის სისტემის რებილიტაცია	432 438	2015
აჭარა ქობულეთი	ქ.ქობულეთში წყალსადენის სათავე ნაგებობაზე დამატებითი ჭაბურღილების მოწყობა	177 023	2015
აჭარა ქობულეთი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა და ქვედა სამების, ასევე ხუცუბნის დასახლების სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები	53 594	2015
აჭარა ქობულეთი	დაბა ოჩხამურის წყლის გაუსნებელყოფა (ნატრიუმის ჰიპოქლორიდის წარმოების დანადგარის მიწოდება-მონტაჟი)	108 880	2015
აჭარა ქობულეთი	სოფელი ჭახათის ე.წ."კურჩხულას" წყალსადენის სათავე ნაგებობისა და სოფლებში მუხაესტატესა და წყავროკაში ახალი ჭაბურღილების მოწყობა	402 905	2016
აჭარა ქობულეთი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის საჩინოს თემში (სოფლებში საჩინოში და ქვედა აჭყვაში წყლის სათავეს და ქსელის მოწყობა) წყლის სათავე ნაგებობის, რეზერვუარისა და ცენტრალური მაგისტრალის მოწყობა. პირველი ეტაპი.	938 564	2016
აჭარა ქობულეთი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩაისუბნში წყალსადენის სისტემის(პირველი ეტაპი სათავე ნაგებობისა და რეზერვუარის) მოწყობა	547 668	2016
აჭარა ქობულეთი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ ლეღვაში წყალსადენის სისტემის (პირველი ეტაპი სათავე ნაგებობისა და რეზერვუარის)მოწყობა	870 631	2016
აჭარა ქობულეთი	ქალაქ ქობულეთში თამარ მეფის სანაპიროს სასმელ-სამეურნეო წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია(წყლის სისტემის მოწყობა და გამრიცხველიანება)	194 046	2016

აჭარა ქობულეთი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ.ხუცუბნის წყალსადენის სისტემის მოწყობა	966 419	2016
აჭარა ქობულეთი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ.ზედა სამების წყალსადენის სისტემის მოწყობა	398 013	2016
აჭარა ქობულეთი	ქაქუთის წყალსადენის სისტემის მოწყობა	1 105 421	2016
აჭარა ქობულეთი	დაბა ოჩხამურში 4 ერთეული წყალსაქაჩი ტუმბოს მოწოდება-მონტაჟი	107 054	2016
აჭარა ქობულეთი	დაბა ჩაქვში სოფელ ბუკნარის არსებული წყალსადენის მაგისტრალის რეაბილიატაცია	420 948	2016
აჭარა ქობულეთი	სოფელი ჭახათის წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია სოფლების: აჭყვისთავის,ზენითის,ალამბრის,მუხაესტატეს და წყავროკას წყლის სისტემების რეაბილიტაცია.	602 872	2016
აჭარა ქობულეთი	ქალაქ ქობულეთში წყალსადენის სათავე ნაგებობაზე ახალი ჭაბურღილების (ოთხი ერთეული) მოწყობა	316 524	2017
აჭარა ქობულეთი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩაისუბნში წყალსადენის სისტემის(პირველი ეტაპი სათავე ნაგებობისა და რეზერვუარის) მოწყობა	358 939	2017
აჭარა ქობულეთი	ქ. ქობულეთში ჩოლოქის დასახლებაში წყალსადენის სისტემის მოწყობა	288 973	2017
აჭარა ქობულეთი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩაისუბანში წყალსადენის სისტემის (მე-2 ეტაპი რეზერვუარისა და შიდა მაგისტრალის) მოწყობა	1 390 579	2017
აჭარა ქობულეთი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ ლეღვას წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია (II ეტაპი)	1 123 197	2017
აჭარა ქობულეთი	საჩინოს თემში, სოფელ ზედა აჭყვაში წყალსადენის სათავე ნაგებობის, რეზერვუარის და ცენტრალური მაგისტრალის მოწყობა (II ეტაპი)	381 345	2017
აჭარა ქობულეთი	ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებული სატუმბო სადგურებისათვის 7 ერთეული ტუმბოს შეძენა/მონტაჟი	172 791	2017
აჭარა ქობულეთი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ.ხუცუბნის წყალსადენის სისტემის მოწყობა	162 690	2017
აჭარა ქობულეთი	ქაქუთის წყალსადენის სისტემის მოწყობა	124 542	2017
აჭარა ქობულეთი	ქალაქ ქობულეთში თამარ მეფის სანაპიროს სასმელ-სამეურნეო წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია(წყლის სისტემის მოწყობა და გამრიცხველიანება)	29 877	2017
აჭარა ქობულეთი	დაბა ოჩხამურში ორი ერთეული სასმელი წყლის საქაჩი ტუმბოს მოწოდება-მონტაჟი	47 382	2017

აჭარა ქობულეთი	სოფელ მუხაესტატეს წყალსადენის მაგისტრალური ხაზის მოწყობის სამუშაოები	47 967	2017
აჭარაქობულეთი	სოფელ ციხისძირის წყალსადენის მაგისტრალური ხაზის მოწყობის სამუშაოები	165 883	2017
აჭარა ქობულეთი	სოფ. ციხისძირის წყალსადენზე დებეტის გაზრდის სამუშაოები	106 848	2017
აჭარა ქობულეთი	ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებული წყალსადენებისათვის, ჩაძირული ტუმბოს, სხვადასხვა დიამეტრის მილების და ფასონური ნაწილების შეძენის ღონისძიების ფარგლებში სხვადასხვა დიამეტრის მილების და ფასონური ნაწილების შეძენა	54 225	2017
აჭარა ქობულეთი	სოფ. ბობოყვათში წყალსადენის სათავე-ნაგებობისა და ცენტრალური მაგისტრალის მოწყობა	977 870	2018
აჭარა ქობულეთი	სოფელ ციხისძირის წყალსადენის მაგისტრალური ხაზის მოწყობის სამუშაოები	195 819	2018
აჭარა ქობულეთი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩაისუბანში წყალსადენის სისტემის (მე-3 ეტაპი) მოწყობა	842 697	2018
აჭარა ქობულეთი	სოფ. მუხაესტატეს წყალსადენის სისტემის მოწყობა	371 656	2018
აჭარა ქობულეთი	სოფ. გვარაში, ხუცუბანში, ლეღვაში (სკურა) და სოფელ სამებაში არსებულ წყალსადენებზე წყლის დებეტის გაზრდის სამუშაოები	619 776	2018
აჭარა ქობულეთი	წყალსადენის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის ტექნიკური საშუალებების შეძენა	27 689	2018
აჭარა ქობულეთი	ტუმბოების შეძენა ქალაქის წყალკანალისათვის ერთი ერთეული	9 772	2018
აჭარა ქობულეთი	სოფელ ქაქუთში, სოფელ შუაღელეში, სოფელ ქვედა აჭყვასა და სოფელ ზედა აჭყვაში წყალსადენის სისტემების საფილტრი ნაგებობების მოწყობისა და სოფელ ხუცუბანში წყალსადენის სისტემის რეზერვუარის რეაბილიტაცია	116 046	2018
აჭარა ქობულეთი	სოფელ ქაქუთში, სოფელ შუაღელეში, სოფელ ქვედა აჭყვასა და სოფელ ზედა აჭყვაში წყალსადენის სისტემების საფილტრი ნაგებობების მოწყობისა და სოფელ ხუცუბანში წყალსადენის სისტემის რეზერვუარის რეაბილიტაცია	472 457	2019
აჭარა ქობულეთი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში (2 ერთეული) ჭაბურღილების მოწყობა	173 157	2019
აჭარა ქობულეთი	სასმელი წყლის საქაჩი ტუმბოების (9 კომპლექტი) და ნატრიუმის ჰიპოქლორიდის დანადგარის რეაქტორის (3 კომპლექტი)	124 100	2019

	შეძენა		
აჭარა ქობულეთი	ზედა ლეღვას წყალსადენისათვის წყალსაქაჩი ტუმბოს შეძენა	15 975	2019
აჭარა ქობულეთი	სასმელი წყლისს ხვადასხვა დიამეტრის პოლიეთილენის მილების შეძენა	47 574	2019
აჭარა ქობულეთი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში (სამება, ქვედა აჭყვა) წყალსადენის სისტემაზე ჭაბურღილების მოწყობა	432 444	2020
აჭარა ქობულეთი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ციხისძირი, ქვ.კონდიდი) წყალსადენის სისტემაზე ჭაბურღილების მოწყობა	682 881	2020

ფოთის მუნიციპალიტეტი

უმწვავესი ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დგას პალიასტომის უნიკალური ტბა და მისი შემოგარენი. ქალაქის დატბორვისაგან დაცვის მიზნით, 1927 წელს პალიასტომის ტბიდან, მალთაყვაში ზღვამდე გაჭრილ იქნა პირდაპირი ხელოვნული არხი, რომელმაც, გარდა დადებითი შედეგისა გამოიწვია ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა: დაიწყო ტბის გამლაშების პროცესი, მკვეთრად მოიკლო ტბის სიღრმემ 6-8 მ-დან 1,5-2 მ-მდე, მდ. კაპარჭინა გახდა გაუმდინარი, დაიწყო დაჭაობების პროცესები და სხვა.

სამეცნიერო პრაქტიკულმა სამუშაო ჯგუფმა მხარი დაუჭირა ტბის ძველ ჰიდროლოგიური რეჟიმის აღდგენას, იმ პირობით, რომ წინსწრებით უნდა ჩატარდეს ტბის მდგომარეობის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი სამუშაოები შესაბამისი დაფინანსებით (დაახლოებით 100 ათ. ლარამდე), რომლის საფუძველზეც უნდა მომზადდეს შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია და განისაზღვროს პრობლემის კომპლექსურად მოგვარების ეტაპები, ბუნებაზე ზეგავლენის რისკების მინიმუმამდე შემცირებით, სამეცნიერო დაკვირვებებით და შესაბამის ინსტანციებთან შეთანხმებით (მთავრობა, სამინისტრო, უწყება და სხვა).

მიუხედავად საკითხის სირთულისა, ადგილობრივი რესურსით შესრულდა I ეტაპის გადაუდებელი სამუშაოები, დაჭაობებული მდ. კაპარჭინის გაწმენდა, სიგრძით 3,7 კმ, თანხით 1,3 მლნ ლარი, რაც არასაკმარისია თუ მდინარეს არ აღუდგება პირვანდელი ფუნქცია - გახდეს გამდინარე.

ცალკე მსჯელობის საგანია ქალაქის შიდა სამელიორაციო სტრუქტურა, 180 კმ სანიაღვრე არხითა და 8 სატუმბო სადგურით, რაც არასაკმარისია. ადგილობრივი რესურსით გატარდა არაერთი ღონისძიება, მოეწყო სანიაღვრე არხები, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 08 თებერვლის N50 დადგენილების შესაბამისად, სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შერჩეულ იქნა და დაპროექტდა კუნძულის უბანში - 9 აპრილის ხეივანზე - ახალი მძლავრი სატუმბო სადგური,

რომელიც უნდა მოემსახუროს 80-100 ჰა ტერიტორიას, სამშენებლო ღირებულებით 1,4 მლნ ლარი, რისი დაფინანსებაც დღემდე ვერ მოხერხდა.

ანალოგიური ღონისძიებებია (პროექტები) ჩასატარებელი მდ. რიონის შემაერთებელ არხებთან (კუნძულისა და ცენტრის უბნები). მდ. რიონის გასწვრივ აღსადგენია ხელოვნული წყალგადამჭერი გალერეა და სხვა კომპლექსური სამელიორაციო ღონისძიებები.

რამდენიმე წლის წინ, შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დაკვეთით დამთავრდა ქალაქში შემომავალი მაგისტრალური წყალსადენისა და შიდა ქსელების რეაბილიტაცია და ამჟამად ქალაქს 24 საათიან რეჟიმში მიეწოდება მაღალხარისხიანი სასმელი წყალი.

ჯერჯერობით სერიოზული პრობლემებია ქალაქის ფეკალური კანალიზაციის სისტემით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. ქალაქში დღემდე ფუნქციონირებს 80-იან წლებში აშენებული კანალიზაციის სისტემა სატუმბო სადგურებით, გამწმენდი ნაგებობის გარეშე, რომლის დამთავრებაც ვერ მოესწრო და რომელიც ემსახურება ქალაქის მხოლოდ 25-30%.

რამდენიმე წლის წინ, აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით დაიწყო ცენტრალური კანალიზაციის რეაბილიტაცია, რომელიც შეჩერებულ იქნა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამო, ფაქტობრივად გადაითხარა მთელი ქალაქის ქუჩები და მოედნები, რომელიც რეაბილიტაციას მოითხოვს. ამჟამად სამუშაოები განახლებულია, რომელსაც აწარმოებს კომპანია ,,TAHAL GROUP B.V“ თუმცა ტემპი არადამაკმაყოფილებელია. პროექტი მოიცავს ქალაქის მთლიან ტერიტორიას 2 გამწმენდი ნაგებობითა და 28 სატუმბო სადგურით. სამუშაოების დამკვეთია შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ“ განხორციელდება 2011 წელს გაფორმებული ADB - ის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქვეყანაში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების გაუმჯობესებას და გამწმენდი ნაგებობების მშენებლობას. პროექტის დასრულების შემდეგ, ფოთი, ანაკლია, მესტია, ზუგდიდი, ურეკი, უზრუნველყოფილი იქნება წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემებით და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობებით.

წყალმომარაგების კომპანია ზუგდიდში დამატებით წყალარინების ქსელისა და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის პროექტს ახორციელებს.

წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა დასკვნით ეტაპზეა და სამუშაოების 95% უკვე შესრულებულია.

შედეგები და დასკვნები

პროექტის ფარგლებში ჩატარებულმა საქმიანობამ ცხადყო, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით წყლის რესურსების სფეროში აღებული ვალდებულებების შესრულებას ქვეყანა პასუხისმგებლობით ეკიდება.

ევროკავშირის წყლის დირექტივების განხილვის დროს, ვერ იქნა ნაპოვნი ვერცერთი დებულება, რიმელიც უყურადრებოდ არის დარჩენილი - იგულისხმება წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონპროექტი, რომელშიც ყველა დებულების შესაბამისი მუხლი არსებობს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მათი ამოქმედების ვადები დარღვეულია. ეს გამოწვეულია კანონის მიღების და, შესაბამისად, მისი ძალაში შესვლის დაგვიანებით.

ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებები, ძირითადად, ეროვნულ დონეზე ხორციელდება. ამდენად, პროექტით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტებს კონკრეტული ვალდებულებები წყლის რესურსების სფეროში არ გააჩნიათ. მიუხედავად ამისა, მათ აქვთ არაპირდაპირი შეხება ისეთ საკითხებთან, როგორიცაა წყალმომარაგება და წყალარინება. მნიშვნელოვანია წყალდიდობების რისკებთან დაკავშირებული საკითხები, რამეთუ ეს უკანასკნელი აქტუალურია პროექტით განსაზღვრული რეგიონისათვის. თუმცა, მუნიციპალიტეტებში (ქობულეთისა და ფოთის მერიის გარდა) ინფორმაცია ამ საკითხებზე მწირია, ან უბრალოდ არ იქნა მოწოდებული.

წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონპროექტი წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობას ითვალისწინებს. ამდენად ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები სრულფასოვნად უნდა იყვნენ ჩართული წყლის რესურსების მართვის პროცესში.

მუნიციპალიტეტებმა არ მოგვაწოდეს ინფორმაცია, ასევე, იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც COVID 19 - ის პირობებში ადგილობრივ დონეებზე არის ჩასატარებელი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად.

რეკომენდაციები:

1. დაიგეგმოს და განხორციელდეს წყლის რესურსების მართვის საკითხებზე კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებები მუნიციპალიტეტებში გარემოს დაცვაზე პასუხისმგებელი პირებისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას წყლის რესურსების მართვის შესახებ საქართველოს კანონის წარმატებულად განხორციელება.

2. მუნიციპალიტეტებში განხორციელდეს COVID 19 - თან დაკავშირებული ღონისძიებები, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად.

გამოყენებული ლიტერატურული წყაროები

- საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება
- ანგარიში საქართველო- ევროკავშირის დღის წესრიგის ამოცანების შესრულების შესახებ
- საქართველოს პარლამენტის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების შესრულების შესახებ
- ევროკავშირის წყლის დირექტივები (**N 2000/60/EC, N 91/271/EEC, N 98/83/EC, N 91/676/EC, N 2007/60/EC**)
- საქართველოს კანონი წყლის რესურსების შესახებ (პროექტი)
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია
- წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონპროექტის რეგულირების გავლენის შეფასება (USAID, მმართველობა განვითარებისთვის პროექტის საბოლოო ანგარიში)
- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ანგარიშები
- სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია
- საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებგვერდი
- შპს „გაერთიანებული წყალმომარგების კომპანიის“ მიერ მოწოდებული ინფორმაცია
- Water, sanitation, hygiene and waste management for the COVID-19 virus (World Health Organization)